10748-09-4-2-202010281826

N 09-4/10748
28/10/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ბატონო/ქალბატონო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, გატარებული პრევენციული ღონისძიებების მონიტორინგს. დასახელებული პროცესის ფარგლებში, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დაფიქსირდა კორონა ვირუსით ინფიცირების შემთხვევები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად, ამავე კანონით დადგენილ ვადაში, გთხოვთ, გვაცნობოთ:

- ქვეყნის მასშტაბით არსებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, 2020 წლის განმავლობაში (თვეების, დაწესებულებების მითითებით), რამდენ პაციენტს/თანამშრომელს დაუდასტურდა კორონა ვირუსი
- დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა სახის სპეციალური/პრევენციული ღონისძიებები გატარდა
- მოხდა თუ არა მათი გადაყვანა კლინიკაში ან/და საკარანტინო ზონაში (დადებითი პასუხის შემთხვევაში, პირის მონაცემების, გადაყვანის დროისა და ადგილის მითითებით)
- ხომ არ დაფიქსირებულა მოცემული ვირუსით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევები
- რა სიხშირით უტარდებათ პაციენტებს/თანამშრომლებს ტესტირება აღნიშნულ დაავადებაზე

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ირინე ობოლაძე



დეპარტამენტის უფროსი (I რანგი; საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი